ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №2023-077

ქ. თბილისი **31 ივლისი, 2023 წ.**

ერთი მხრივ, საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი სახალხო დამცველის პირველი მოადგილის თამარ გვარამაძის სახით და მეორე მხრივ, **ი.მ "გიორგი კანდელაკი ვესტა"** (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის გიორგი კანდელაკის სახით, შემდგომში ერთობლივად წოდებული მხარეებად, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" (10000 ლარამდე ღირებულების ერთგვაროვანი ობიექტების შესყიდვა - მონეტარული ზღვრების შესაბამისად) ქვეპუნქტისა და ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის ლოჯისტიკის მენეჯერის 2023 წლის 25 ივლისის N4012-23 მოხსენებითი ბარათის დაცვით ვაფორმებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1.ტერმინთა განმარტებები

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში – „ხელშეკრულება") - შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" – საერთო თანხა, რომელზეც გაფორმებულია წინამდებარე ხელშეკრულება.

1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს საქონლის და მომსახურების მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

2. ხელშეკრულების საგანი, მიწოდების ვადა და ადგილი

2.1. მიმწოდებელი განახორციელებს შემსყიდველსთვის 30 (ოცდაათი) ერთეული კარტრიჯის (Samsung SL-M2620/2820/M2670/2870 MLT-D115L) მოწოდებას (CPV - 30125100 ტონერიანი კარტრიჯი).

2.2. მიწოდების ვადა: ხელშეკრულების გაფორმებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღე.

2.3. მიწოდების ადგილი: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ. N80.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 900 (ცხრა ასი) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლისა და მომსახურების შესყიდვასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ გადასახადებს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1. ანგარიშსწორება განხორციელდება ფაქტიურად მიღებული საქონლის/მომსახურების შესაბამისად, მიმწოდებლის მიერ დამადასტურებელი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის (ანგარიშფაქტურა ან/და მიღება–ჩაბარების აქტი) შემსყიდველისთვის წარდგენის შემდეგ, უნაღდო ანგარიშსწორებით ლარში. დაფინანსების წყარო: 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრები.

4.2. ანგარიშსწორების ვადა – შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმებიდან არაუმეტეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

4.3 მხარეებს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადების დარღვევის შემთხვევაში დაეკისრებათ პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე სახელშეკრულებო ღირებულების 0,02%-ის ოდენობით;

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მომსახურება/საქონელი ან მისი ნაწილი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ შესაბამისი საანგარიშსწორებო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

5.2. შემსყიდველის მხრიდან ამ მუხლის 5.1. პუნქტში აღნიშნულ საანგარიშსწორებო დოკუმენტაციას ხელს მოაწერს „ხელშეკრულების მე-7 მუხლის 7.1. პუნქტით განსაზღვრული უფლებამოსილი პირი.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია:

ნებისმიერ დროს განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის ინსპექტირება;
6.2. შემსყიდველი ვალდებულია:
უზრუნველყოს მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურების და მიღებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
6.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია:
მოსთხოვოს შემსყიდველს გაწეული მომსახურების და მიღებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
6.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
გაუწიოს მომსახურება და მიაწოდოს საქონელი სათანადო ხარისხითა და სრული მოცულობით, განუხრელად და ჯეროვნად შეასრულოს ხელშეკრულების პირობები იმ ვადაში, რომელიც მითითებულია წინამდებარე ხელშეკრულებაში;

7.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირება

7.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ინსპექტირებას განახორციელებს შემსყიდველის მიერ გამოყოფილი კოორდინატორი **მალხაზ საბანიძე** - ადმინისტრაციული და ფინანსური დეპარტამენტის მთავარი სპეციალისტი.
7.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გაწეული მომსახურების და მიღებული საქონლის მიწოდების ვადების, მოცულობის, ხარისხის კონტროლს და ხელშეკრულების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენას.
7.3. ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

8. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
8.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და/ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, ხელშეკრულების დამატებითი შეთანხმების სახით, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა რაც წინამდებარე ხელშეკრულებას.
8.3. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, რაც უნდა აცნობოს მხარეს არანაკლებ 5 (ხუთი) კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით.
8.4. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

9. დაუძლეველი ძალა (ფორს – მაჟორი)

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის (ფორს–მაჟორი) ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
9.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდარული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ განთავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
9.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

10. მხარეთა პასუხისმგებლობა

ხელშეკრულების პირობების დარღვევის შემთხვევაში, მხარეები პასუხს აგებენ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულობლობისათვის ან/და მისი არაჯეროვნად შესრულებისათვის კონკრეტულ შემთხვევაში მიყენებული ზიანის ოდენობით, ურთიერთშეთანხმებით, ან კანონმდებლობით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

11. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 2023 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

13.მხარეთა რეკვიზიტები

შემსყიდველი: საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი ს/კ: 203860679 მის: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. N80 ტელ: 1481 (ცხელი ხაზი); 597772123 ელ–ფოსტა: Bmikadze@ombudsman.ge სახელმწიფო ხაზინა კოდი: 220101222 ა/ა: 200122900 Public Defender Office of Georgia Digitally signed by Public Defender Office of Georgia Date: 2023.08.01 09:54:15 +04'00' _____ სახალხო დამცველის პირველი მოადგილე თამარ გვარამაძე	მიმწოდებელი: **ი.მ. გიორგი კანდელაკი „ვესტა“** მის: ქ. თბილისი, აღმაშენებლის გამზ.55/1 ს/კ: 01009005243 ტელ: T 599944517, 599904517 ელ–ფოსტა: vesta.gk@gmail.com სს „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი: : BAGAGE22 ა/ა: GE75BG0000000888000801 _____ George Kandelaki 01009005243 Digitally signed by George Kandelaki Date: 2023.07.31 12:21:59 დირექტორ გიორგი კანდელაკი